# საქართველო

ყოველდღიური გაზეთი | კვირა, 20 ივლისი 1919 წ. № 152 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამარ-გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73



# ფრონტის დღე

დაწვრილებითი პროგრამა

სასახლის ბაღი — დღეს, 20 მკათათვეს — სასახლის ბაღი

საღამოს 6 საათიდან **დიდი სეირნობა**, ლატარია, აუქციონი, კინემატოგრაფი: „სახალხო გვარდიის დღე", „26 მაისი" და „საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნა".

კონცერტი კაბარე. მონაწილეობენ: სარაჯიშვილი, ინაშვილი, ანდრონიკაშვილისა, ახალგაზრდა პოეტები, მსახიობები მინიატიურისა და ცირკისა და „სტრომის" სიმფონიური ორკესტრი და ზურნა.

**სახელმწიფო თეატრი:** 12 საათზე საქართველოს წარმომადგენლის ბრიტანეთში ბ. დავით ღამბაშიძის მოხსენება: „საერთაშორისო მდგომარეობა და დამოუკიდებელი საქართველო".

მეორე ქართული კლუბი, სახელოსნო კლუბი, მუშათა კლუბი — წარმოდგენები, სეირნობა, და ლ ო ტ ო. დასაწყისი 6 საათზე.

ბაღები: მუშტაიდი, ნაძალადევი, ორთაჭალა, ავლაბარი — 6 საათიდან დიდი სეირნობა, ლატარეა-ალეგრა და აუქციონი.

მთავარი მომწყობი კომიტეტი



მწუხარებისგან გულდათუთქულნი ბეითალი იოსებ ალექსანდრეს ძე პატარა ვახტანგით მეტრეველი, ვანო, პელაგია, ბარბარე, თამარი და მარიამი სათაშვილები, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს რომ კვირას 20 ს მკათათვეს, ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი პირველის ძვირფას და დაუვიწყარ მეუღლის, მეორეთა შვილის, უკანასკნელთა დაუვიწყარ დის

**ნინო ივანეს ასულის მეტრეველის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 9 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე. (1—2539—1).

გულდაწყვარი მშობლები პანტელეიმონ და ნინო, ბებია მარიამი, მამიდა ეკატერინე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველთა ჟუსა ყვარლესი შვილის, მეორეთა დაუვიწყარი შვილი შვილის და ძმისწულის

**ბიჭიკო ბიორბობიანის**

უდროოდ დაკარგვას, ცხედარს გამოასვენებენ კვირას, მკათათვის 20 დღესა, დილის 9 საათზე. დაკრძალვა მოხდება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ჩერქეზიშვილის ქ. № 94 — 1—2541—1

გულდათუთქულნი მამა-გიორგი, დედა ევდოსია, მეუღლე ანნა, და მარიამი, ზანდუკელი ელენე მეუღლით, ვლადიმერი ჯორჯაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ სამშაბათს 22 მკათათვეს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარი

**სპირიდონ (ფირან) გიორგის ძე**

**ზანდუკელის**

სულის მოსახსენებლად. წირვის დასაწყისი 10 ს. (1—2542—1)

**წისქვილი**

ძმ. ბაბაჯანოვებისა

ღებულობს ყოველნაირ საფქვავს

ავლაბარში, ნუხის ქუჩა № 13. 10—2521—2

**ფოთის ქალაქის გამგეობისაგან**

ქალაქის ბაღების და პლანტაციისათვის საჭიროა სპეციალური ცოდნით აღჭურვილი

**მებაღე-აგრონომი**

პირობების გაგება და თხოვნების მიღება ქალაქის გამგეობაში.

3 6—2

ქართული კლუბი

27 მკათათვე

გაზ. „საქართველო"-ს საღამო

**იტალიური გოგირდი**

მევენახეობის შესაწამლად მიღებულია, მევენახეთა საყურადღებოდ ზედმეტობა გოგირდისა ადგილობრივ დაფქვილის წინაშე.

იყიდება ბახჩიევის მაღაზიაში რიყეში № 80.

(2—2540—2)

**ფოთის ქალაქის გამგეობისაგან**

ფოთის ქალაქის გამგეობას ესაჭიროება მომავალ ენკენისთვიდან უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლისათვის

**გამგე-მასწავლებელი**

ჯამაგირი 13.450 მანეთი, ბინა, გათბობა და განათება. თხოვნების მიღება ქალაქის გამგეობაში. 3—6—2


## ადმინისტრაციის მოუწყობლობა

„ავგიუსის თავლა" ვერ იხვეტება! ვერ იქნა და ვერ მოეწყო რესპუბლიკის ადმინისტრატიული აპარატი: ძველად გადმოცემული, თუ ახალ პირობებში შეთვისებული სპეციალური ზნე-ჩვეულებანი ვერ ჩამოსცილდათ პოლიციის მოსამსახურეთ, პირიქით არის ნიშნები იმისა, რომ სიბოროტე, მავნე მიმართულება შესისხლხორცებულ ატრიბუტად დაერთოთ მილიციის მსახურთ.

პირველ ხანებში ადმინისტრაციის შეუწყნარებელ წესებს რევოლუციურ გარდამავალ დროით ჰხსნიდნენ და მილიციელთა უგვანო საქციელს საერთო არევ-დარევითა და მოუწყობლობით ამართლებდნენ. რევოლუციის დაწყების ორ წელიწად ნახევრის მანძილმა შეუძლებლად ჰყო ტრაფარეტული განმარტიბების მიცემა! ყველა იტაპებ განვლილი და საკმაოდ გაღრმავებულ-გაფართოვებული რევოლუცია თავის ბუნებრივ აუცილებელ დასკვნამდე მივიდა და ძველ წესწყობილების წინაალმდეგ ამხედრებულ ხალხს გამოუმჟღავნა დადებითი და უარყოფითი მხარეები.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გარემოებებს და პირობებს, ჩვენი ქვეყანა შედარებით ნორმალურ ყოფაცხოვრებაში უნდა ვიგულისხმოთ. ამ პირობებში ნგრევასა და რბევას უნდა მოჰყოლოდა სხვა თვისების მოღვაწეობაც და უპირველესად ყოვლისა სახელმწიფოებრივი შემოქმედებითი მუშაობა რესპუბლიკაში მშვიდობიანობისა და უფლებრივ წესების დასამყარებლად.

ვინ არ იცის, რომ ანარქიულ ვითარების აღსაგველად მართებლობას უნდა გამოეყენებინა ადმინისტრატიული ძალა, როგორც უმთავრესი საშუალება დემოკრატიულ მართვა-გამგეობის განსამტკიცებლად, მაგრამ, სამწუხაროდ სწორედ ეს ძალა გამოდგა ბევრს შემთხვევაში უდიდეს საფრთხედ თვით სახელმწიფოს არსებობისათვისაც. ადმინისტრაცია არამც თუ არ ცდილობდა წესიერების და მოქალაქობრივი ურთიერთობის შესაძლებლობის აღსადგენად, უმეტეს შემთხვევაში თვით გამოდიოდა მყუდროების დამშლელ ფაქტორად.

ადმინისტრაცია მთელს საქართველოში სოციალდემოკრატიულ პარტიის წიაღიდან არის გამოსული: პირველ შედგენილობაზე ამისი თქმაც მაინც შეგვიძლიან დანამდვილებით. ჩვენ არაფერს ვიტყვით იმაზე, თუ რამდენად სახელმწიფოებრივად გამოსადეგი ელემენტი მისცა რესპუბლიკას მენშევიკურმა პარტიამ: სახელმწიფოს მექანიზმის მდგომარეობა გვიმტკიცებს ამ პარტიის ავლადიდებას მართებლობის სფეროში.

უნდა ითქვას გადაჭრით, რომ ყველაზე ულირსი და მავნე პიროვნებანი სოციალ-დემოკრატებმა ადმინისტრაციაში ჩარიცხეს და ამ ადამიანებს ორმაგი დანიშნულება დაავალეს: ერთსა და იმავე დროს მილიციელი იყო უფროსის ბრძანების აღმასრულებელიც და პარტიულ კომიტეტების ყურმოჭრილი აგენტიც. სოციალ-დემოკრატიული კოლლექტივების წესები მილიციამ თავის წრეშიაც გადმოიღო: მოლაყბე ხალხით გაივსო ის აპარატი, რომელიც ულაპარაკოდ და წარბშეუხრელად მხოლოდ და მხოლოდ უფროსის განკარგულებას უნდა ემორჩილებოდეს! ვის არ ახსოვს მილიციელთა ახლო წარსული დროის პროფესიულ კავშირის გადამეტებული ფუნქციები და მათივე „ლიტერატურულ-პუბლიცისტური" პრეტენზიები...

მილიცია აივსო თავალებულ ავაზაკებითა და აფერისტებით: ყველა დიდ სახელმწიფო დანაშაულში და ავანტიურაში თქვენ აქტიურ მონაწილედ მილიციელსაც ჰნახავდით, განურჩევლად რანგისა და განა საკვირველია, რომ მათი დახმარება ყოველთვის წესიერების მტრებისაკენ იყო დაუზოგველად მიმართული. ერთხნობად თბილისის მცხოვრებნი დღისით თუ ღამით სისტემატიურად იძარცვებოდენ და ჩვენ ვიცით შემოწმებული ფაქტებით, რომ მილიციის მოსამსახურენი „ვოლონტიორ"—ყაჩაღებს უჯიბრებოდენ ამ საქმეში. [illegible] ავანტიურისტებმა და რეპუბლიკის კეთილდღეობის ყველა ჯურის მტრებმა ხომ ადმინისტრაციაში თავისი მხურვალე მფარველები ჰპოვეს...

ყველა ამის შემდეგ თბილისის ქალაქის თავს შეეძლო ასეთი სტრიქონების ჩართვა უკანასკნელ ბრძანებაში მილიციისადმი: „ყოველივე ღონისძიებამ, რომელსაც მივმართეთ მე და მილიციის უფროსმა, ჯერაც ვერ მოგვცა სასურველი შედეგი!"

ჩვენ ვალად ვრაცხთ აღვნიშნოთ, რომ თბილისში ბოლო დროს ადმინისტრატიული აპარატი მცირეოდენათ გამოკეთდა, მაგრამ გაუმჯობესობაზე ლაპარაკიც-კი მეტია ჯერ. არ შეიძლება ისიც არ ითქვას, თითქოს ზომებს არ მიჰმართავდნენ მილიციის გასაუმჯობესებლად არამც თუ ამა თუ იმ ულირსი პიროვნების დათხოვნას, პასუხის გებაში მიცემას და სასტიკ დასჯას ჰქონია ადგილი; ჩვენ გვახსოვს სხვა და სხვა ადგილას მილიციის მთელი შედგენილობის განდევნაც სამსახურიდან და სამართალში მიცემა მაგრამ მაინც არა ეშველა რა საქმეს...

ასეთი მდგომარეობის თუნდაც ცოტა ხნით გაგრძობა სახელმწიფოს ძირიან ფესვიანად აჰშლის ყველგან, მთელს რესპუბლიკაში ერთი სისტემით უნდა ამუშავდეს ადმინისტრატიული აპარატი და, გარდა იმისა, რომ მკაცრი და დაუნდობელი ზომებით უნდა ალიკვეთოს ყოველი შემჩნეული ბოროტ-მოქმედება, პასუხისმგებელ უფროსების კომპეტენციაც უნდა გაფართოვდეს და მათ ბრძანებას წინაალმდეგობას არ უნდა უწევდნენ სხვა და სხვა არა სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი. მეტის უფლებით და ამისდამიხედვით მოვალეობით აღჭურვილი ადმინისტრაციის სათავეში მდგომნი, ვფიქრობთ, დაბოლოს სძლევენ მილიციაში დაბუდებულ ბოროტებას და წესიერებას შეიტანენ რესპუბლიკის აწეწილ ცხოვრებაში.

## პრესსა

### არჩევნების თავისუფლება.

„აშხატავორი" (№ 143) ეხება არჩევნების თავისუფლების საკითხს, და, შემდეგს სწერს:

„თანახმად სომეხთა ეროვნულ საბჭოს თხოვნისა შინაგან საქმეთა მინისტრმა განკარგულება გასცა, რათა არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი ცნობები

ბულგარეთი მოითხოვს, რომ მას მიეცეს რუმინეთის დობრუჯის ის ნაწილი რომელიც 1913 წ. ხელშეკრულებით მას დაეთმო, სამხრეთ სლოვიასაგან სერბიის მაკედონიას, საბერძნეთისაგან ბერძნულ მაკედონიას და ოსმალეთისაგან ფრაკიას.

ავსტრიის ხელშეკრულება საზავო კონფერენციამ გაარჩია და ჰუნგრეთის ხელშეკრულების განხილვას შეუდგა.

ჩაჩან-ყაბარდოელთა პოლკები ბოლშევიკების მხარეზე გადადიან.

ხერსონში დენიკინის მომხრე ოფიცერთა შეთქმულება აღმოაჩინეს.

ლატიშთა ეროვნულ საბჭოს პირველი სხდომა მოხდა.

ბოლშევიკები ყველა ფრონტებზე წინ მიიწევენ.

---

ჩევნების ბრძოლაში არ ჩაერივნენ სახელმწიფოებრივი აგენტები და მოხელენი.

მაგრამ როგორც ირკვევა სიტყვის და საქმის შორის დიდი ზღვარია თურმე. ახლა კი ფაქტია, რომ ადგილობრივი კომისარები და მილიციონერები დიდ ყურადღებას აქცევენ არჩევნებს და არჩევნებში აქტიურ მონაწილეობასაც იღებენ. ჩვენ რამდენჯერმე ალვნიშნეთ მილიციის თვითნებობის შე-

[illegible]

სომხის ხალხი არავითარ შემთხვევაში არ უღალატებს თავის ძველ „მეგობარს“ და ეხლაც, როგორც მუდამ წარსულში დაშნაკცაკანებს მისცემს ხმას. ეროვნული საბჭო იქნება, თუ რაიმე საქველმოქმედო საზოგადოება, საქართველოს ფორგლები, თუ სომხეთი. უკიდურეს შემთხვევაში, სომხებს ერთი კარგი იარაღიც აქვთ საარჩევნო ბრძოლისა და ეს მშვენივრად გამოიყენეს დამფუძნებელ კრებისა და თბილისის თვითმართველობის არჩევნებში: თუ ადგილი ექნება „აშხატავორ“-ის მიერ აღწერილ მოვლენებს, სომხის ხალხი „თავს შეიკავებს“ და ხმას არავის მისცემს! ყოველს შემთხვევაში „აშხატავორ“-ისთვის შიშის მომგვრელ № მე-3-ის მდგომარეობა უეჭველად ჩასათვლელია... სომხობა ვერ ეგუება მენშევიზმს...

## შესაძლებელი ხიფათი

ჩვენ ჩამოვართვით მემამულეებს მიწები,—ჩვენ გამოვაცხადეთ სახელმწიფოს საკუთრებად ტყეები, წყლები, მადნეულობანი,—ჩვენ ვაპირებთ „აგრარული რეფორმა“ მოვახდინოთ ქალაქებშიდაც... ერთი სიტყვით, ვცდილობთ დავაგროვოთ სახელმწიფოს ხელში მთელი სიმდიდრე საქართველოსი. სხვა მავნებლობის გარდა, რომელზედაც ხშირად გვქონია ლაპარაკი ამ რევოლუციურ ღონისძიებათა გამო, გვინდა მივუთითოთ ქართველ საზოგადოებას კიდევ ერთ შესაძლებელ ხიფათზე.

ჩვენ ვიცით რომ რუსეთის საერთაშორისო ვალი უდრის თითქმის 200 მილიარდს.

ეხლა საქართველო გამოყოფილია რუსეთიდან ფაქტიურად და გამოცხადებული დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. საერთაშორისო უფლების მიხედვით, როცა რომელიმე სახელმწიფოს ჩამოშორდება რომელიმე ნაწილი, ჩამომწყდარ ტერიტორიას თან სდევს სახელმწიფო ვალის ერთი ნაწილი. ამ ვალის რაოდენობა ისაზღვრება სხვა და სხვა პრინციპის მიხედვით: ან ტერიტორიის სიდიდით, ან მცხოვრებთა რაოდენობით, ან რაოდენობით შემოსავლისა. რაც გინდა იყოს, ჩვენს გარეშეა ის, რომ ერთი ნაწილს სახელმწიფო ვალისას უსათუოდ გაიწერენ ჩამომწყდარ ტერიტორიას. ამის მაგალითები საერთაშორისო უფლებაში ბევრია.

ამიტომ ჩვენ ყოველთვის უნდა გვქონდეს შიში ამ ვალის გაწერისა. დაახლოვებით საქართველოს შეიძლება დააწვეს ერთიდან სამი მილიარდამდე!

მართალია, საქართველო არ იყო რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყანა, საქართველოს პ ონ[illegible] ხე შ კ[illegible]

რუსეთთან, რომლის ძალით რუსეთის ვალი ვერ გავრცელდება საქართველოზე, მაგრამ სულ ეს წმინდა იურიდიული მოსაზრებაა, და რამოდენად ამას დაიცავენ და გაატარებენ საერთაშორისო მოლაპარაკებაში ჩვენი სოციალისტები—ეს ღმერთმა უწყის. ამის იმედი მე არა მაქვს. ამიტომ მოსალოდნელია, რომ საქართველოს დაეკისრება ორი თუ სამი მილიარდი!

საზოგადოდ სახელმწიფო ვალი არ

[illegible]

## ალექსანდრე ჭურნის განთავისუფლება

[illegible]

საფერ სასჯელს მიიღებს; ხოლო გამოძიების დასრულებამდე თვითნება კომისარი, უსათუოდ სამსახურიდან გადაყენებული უნდა იქნეს.

თუ მთავრობას, მართლა სწადია, რომ თავისუფლების ის ლოზუნგები, რომელნიც მის დეკლარაციაში გამოცხადებული, მართლა განხორციელებული იქმნენ, და ყოველ მოქალაქეს მიეცა საშუალება თავისუფალი აზროვნებისა, სამინისტრო დღეს ესე უნდა მოიქცეს.

## არჩევნების გადადება სოხუმის ოლქში.

მთავრობამ და დამფუძნებელ კრების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მრავალი თხოვნა მიიღო, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელიც დანიშნული იყო 10 მარიამობისთვის გადადებულ იქნას. არჩევნების გადადებას სხვათა შორის თხოულობდენ: თელავის სოციალ დემ. ორგანიზაციას ველის ციხის სომეხ სოც.-დემოკრატთა კომიტეტი, ურიათ-უბნის, ახმეტის კომიტეტი და სიგნალის სომხები. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ხსენებულ ორგანიზაციათა შუამდგომლობა უარჰყო და დაადგინა რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები მოხდეს დანიშნულ ვადაზედ—ე. ი. ათ მარიამობისთვეს არჩევნები გადაიდო მხოლოდ სოხუმის ოლქში, სადაც გამოირკვა, რომ ამომრჩეველთა სიები შედგენილი ყოფილა აფხაზთა სახალხო საბჭოს დებულების თანახმად და არ აკმაყოფილებს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებას, ხოლო ახალი სიების შედგენა დანიშნულ ვადამდე არ მოესწრება.

სოხუმის ოლქში არჩევნები ცალკე დაინიშნება.

## იტალიის შინაურ მდგომარეობაზე

გაზ. „გრ.“ ცნობით, თბილისში მყოფი იტალიის ჯარის წარმომადგენელნი უარჰყოფენ უკანასკნელ ხანებში გავრცელებულ ხმებს, იტალიაში რევოლუციურ მოძრაობის დაწყების შესახებ.

კერძო წერილებში, რომელიც მათ უკანასკნელ ხანში მიუღიათ, არაფერი არ არის ნათქვამი ამ მოძრაობის შესახებ.

იტალიის წარმომადგენლები არ უარჰყოფენ, რომ ზოგიერთ ქარხანებში მომხდარა გაფიცვები, მაგრამ მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე, რაც იტალიისათვის ჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

## სოკოლოვი ასტრახანში

ბაქოს გაზეთ „აზერბაიჯანში“ შემდეგი ცნობაა მოთავსებული

„ინგლისის სარდლობის ნებართვით კუნძულ ჩეჩენზედ გაემგზავრა კერენსკის პერიოდის ცნობილი სენატორი სოკოლოვი, ავტორი ბრძანების № 1.

კუნძულ ჩეჩენიდან, რომელიც ამ ჟამად ბაზა არის ინგლისის ფლოტის ოპერაციებისა ასტრახანის წინააღმდეგ, სოკოლოვს განზრახვა აქვს ერთ შვეიცარიელ სოციალისტთან ერთად, მოახერხოს ასტრახანის ნავთ-სადგურზედ გასვლა და შემდეგ თვით ქალაქში შევიდეს, საიდანაც იმედი აქვს, რომ პირდაპირი მავთულით დაელაპარაკება მოსკოვის მთავრობას.

სოკოლოვი რწმუნებულია წითელი ჯარის პოლიტიკური განყოფილებისა და დავალებული აქვს მოახერხოს, რომ საბჭოთა მთავრობამ გასცვალოს, ასტრახანში დატუსაღებული ინგლისელი კონსული შაუ და მოსკოვში დატუსაღებული სხვა ინგლისელნი, ჩრდილო კავკასიის ბოლშევიკების ლიდერებზედ რომელნიც საქართველოში გადმოიხვეწენ და ამ ჟამად ინგლისის სატუსაღოში იმყოფებიან.

ამ გაცვლის ინიციატივა, სოკოლოვის სიტყვით, ეკუთვნის საქართველოს მთავრობას, რომლის თავმჯდომარემ ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ, სოკოლოვი სათანადო მანდატით აღჭურვა.

# ქრონიკა

**დღეს დილის თერთმეტ საათზედ რედაქციის ბინაზე დანიშნულია მთავარ კომიტეტის კრება. განსახილველი საგანი: ხაორგანიზაციო მუშაობა და სარედაქციო საქმეები.**

**სამაზრო ერობების წარმომადგენელთა ყრილობა.** ერობის ცენტრალურმა ბიურომ დაადგინა, ამ მოკლე ხან ი მოიწვიოს ყველა სამაზრო ერობათა წარმომადგენლების ყრილობა. ცენტრალურმა ბიურომ უკვე დაუგზავნა სათანადო მიწერილობანი ყველა სამაზრო ერობებს.

**მიწადმოქმედების სამინისტროს** სასოფლო მეურნეობის და სახ. მაშ. განყოფილება იწვევს წლიურ და სეზონის (რამდენიმე თვით) პრაქტიკანტებს რომელნიც სპეციალისტების ხელმძღვანელობით საქართველოს სახ სამ. საცდელ დაწესებულებებში იმუშავებენ. მიიღებიან, როგორც უმაღლეს სასოფლო-სამეურნო ან საბუნების-მეტყველო სასწავლებლებში, აგრეთვე თბილისის კურს დამთავრებულნი პოლიტეხნიკუმის და უცხოეთ სახ. სასწავლებლების სტუდენტები. დაწვრილებით ცნობების მიღება და თხოვნების შეტანა შეიძლება განყოფილების კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა № 22) ყოველ დღე შუადღის 12-2 საათამდე-

**თბ. უნივერსიტეტი.** თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა სამხედრო სასანიტარო ბაქტრიოლოგიური ლაბორატორია, პასტერის სადგური და სასამართლო-საექიმო ლაბორატორია. განათლების სამინისტრომ სთხოვა შინაგან საქმეთა და სამხედრო სამინისტროებს მოახდინონ განკარგულება იმ დაწესებულებათა უნივერსიტეტისათვის გადაცემის შესახებ.

**საფრანგეთის სამხედრო ფოსტა.** საფრანგეთის სამხედრო მისიასთან თბილისში დაარსდა სამხედრო ფოსტა. კორესპონდენციები მიიღება ფრანგული წარწერით. ფული და დაზღვეული წერილები ჯერ არ იგზავნება. ერთი წერილის გაგზავნა (20 გრამამდე ღირს 3 მანეთი).

**ჯარის-კაცთა სკოლები.** სამხედრო სამინისტროს ჯარის კაცთა სკოლების დროებითი უფროსმა ინსტრუქტორმა ანთაძემ სამინისტროს კულტურულ განყოფილების სექციის უფროს, განუცხადა რომ მიღებულია სათანადო ზომები, ქუთაისის გარნიზონში ჯარისკაცთა სკოლების მოსაწყობათ.

**ფრონტის დღე** გუშინ პირველი დღე იყო ფრონტის დღესასწაულისა. მთელი ქალაქი ზეიმობდა. სახლები და მაღაზიები მორთული იყო ეროვნული დროშებით, დილასვე თავისუფლების მოედანზე მოვიდნენ ჯარის ნაწილები მუსიკითა და ზურნით, მათ მიესალმა შინაგან საქმეთა მინისტრი ბატ. რამიშვილი, რომელმაც აღნიშნა ჯარის და გვარდიის ხელი ხელჩაკიდებული ბრძოლა სამშობლოს დასაცავათ. თავისუფლების მოედნიდან ჯარის ნაწილები მუსიკითა და ზურნით წავიდნენ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების დარბაზისაკენ. აქ მათ მიესალმა მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ჟორდანია, რის შემდეგაც ჯარის ნაწილები წავიდნენ ქალაქის სხვა და სხვა უბნებისაკენ. ქუჩებში დადიოდნენ ყულაბებით ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი და აგროვებდნენ ფულს ფრონტისათვის.

პირველი დღე იმედს იძლევა, რომ ქართველი ხალხი ღირსეულად დააფასებს ქართველ მეომართა ამაგს და აგრძნობინებს სამშობლოს საზღვრებზე აღმართულ ეროვნულ დროშის ურდგრად დამცველებს, რომ ისინიც მათთან არიან.

**სომეხთა ეროვნულ საბჭოს არჩევნების გადადება.** საქართველოს მთავრობას აუარებელი წერილობითი შუამდგომლობა მოუვიდა პროვინციაში და სოფლებში მცხოვრებ სომეხთა მცხოვრებლებთაგან, რომელნიც სთხოვდნენ, გადაედვათ სომეხთა ეროვნულ საბჭოს არჩევნები, რადგან საარჩევნო კომპანიის წარმოება ხელს შეუშლით მინდვრის მუშაობას.

მთავრობამ იმსჯელა ამ საკითხზე და დაადგინა ეცნობოს სომეხთა ეროვნულ საბჭოს, რომ არჩევნები გადადებულია. და აგრეთვე ეცნობოს, რომ მთავრობას მიზანშეწონილათ მიაჩნია მოახდინონ არჩევნები ყველა მაზრებში და არა ზოგიერთებში.

**სომეხთა დელეგაცია** გუშინ მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგა საქართველოში მცხოვრებ სომეხთა ეროვნულ საბჭოს დელეგაცია და ესაუბრა სომეხთა ახალ ეროვნულ საბჭოს არჩევნების გადადების შესახებ. დელეგაციამ სთხოვა რომ არჩევნები არ გადაედოთ.

## ეკონომიური ცხოვრება

**საქონლის გაცვლა-გამოცვლისათვის** აზერბაიჯანის მთავრობა საქართველოს მთავრობას შეეკითხა შეიძლება თუ არა შემოიტანონ საქართველოში 5000 ფუთი ქერი სამაგიეროთ მათ უნდათ საქართველოდან საპონი და სხ. სურსათის გატანა.

**ახალი სასურსათო ბარათები.** ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა გამოსცეს ახალი სასურსათო ბარათები.

**რკინ. გზ. დეპარტამენ. მოთხ სომხეთისადმი** საქართველოს რკინის გზათა დეპარტამენტმა სომხეთის მთავრობას აცნობა, რომ რადგანაც სომხეთის მთავრობას უკან აღარ დაუბრუნებია აზერბაიჯანისათვის ნავთის გაცლილი ცისტერნები. ამიტომ საქართველოს რკინის გზათა დეპარტამენტმა ვიდრე არ გაატარებს აზერბაიჯანიდან სომხეთში გაგზავნილ ტრანზიტს, სანამ ხსენებულ ცისტერნებს არ დაუბრუნებენ აზერბაიჯანს.

## სამხატვრო ქრონიკა

**სურათების გამოფენა ქუთაისში.** ბ. თოიძემ ქუთაისში ჩამოიტანა სხვა და სხვა მხატვრების სურათები და ამ დღეებში ქუთაისში გამოფენას მოაწყობს. როგორც ბ. თოიძემ გადმოგვცა გამოფენა ქუთაისში გაგრძელდება 8 დღეს, საიდანაც გაემგზავრება: ფოთს, სამტრედიას, ბათომს, ყვირილას, ბორჯომს, გორს, თელავს და ყველა დაბა ქალაქებში სადაც კი მატარებლები მიდის. ჯერჯერობით ქუთაისში ჩამოტანილია გამოფენისათვის შემდეგი მხატვრების სურათები: მოსე თოიძის, ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის, ნიკო ფიროსმანაშვილის, ირაკლი თოიძის, ი. ნიკოლაძის, ამ მხატვართა სურათების გარდა გამოფენილი იქნება ადგილობრივ ძალთა სურათებიც, როგორც გრიგოლ მესხის, ისე სხვების.

## სხ. და სხ. ამბები,

**ხოლერის მსხვერპლი.** 13 ივლისს ოქრო-მჭედლის ქუჩაზე № 32 სახლში ხოლერით ავად-გახდა სოფიო დოლაბერგოვა, ავადმყოფი საავადმყოფოში მიყვანიდან ოოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

## პროვინციის ცხოვრება

### ქ. ქუთაისი

ქუთაისის ბაზარზე აბრეშუმის პარკი შემოვიდა კიდეც. ფუთი პარკი ქუთაისის ბაზარზე ფასობს 450—900 მანეთი. პარკის ფასის ასეთი სიიაფე იმით აიხსნება, რომ არ არიან მყიდველები, პარკს ისევ სოფლის გლეხები ყიდულობენ ძაფის ამოსაღებად.

— შინაგან საქმეთა ადმინისტრაციის ინსპექტორი ს. გეგელაშვილი თბილისს გადაიყვანეს მაღალ თანამდებობაზე.

— როგორც სოფლებიდან გვატყობინებენ წელს ჰირნახულის მოსავალს ცუდი პირი უჩანს. სოფლად ჰირნახული ძალზე გაძვირდა. ვენახების წახდენის გამო ღვინის ფასმა საგრძნობლად აიწია. საპალნე ღვინო ადგილობრივად 3000 მანეთი ფასობს.

### სეტყვა ქართ უში.

მკათათვის 12-ს დიდმა სეტყვამ გაანადგურა სოფლები: ს. მალვანი, მორვანი, ბიტნარა, ლებრიანი თვნევლარი, საჯია, დიდი ჯვარები, პატარა ჯვრები და იური ხალა აუწერელია.

### ს. ნინოწმინდა.

ხანგრძლივმა ავდრებმა პურის მომკა დააგვიანა გაზაფხულის სეტყვის გამო სოფელში დიდი უხილობაა.

## ფრონტის დღე

**კვირა 20 მკათათვის ცერემონიალნი.**

1) ყულაბებით ფულის მოგროვება ქ. თბილისის ყველა უბნებში.

2) დილის 10 საათზე ბავშვების პროცესია, მუსიკით და ხოროთი, დროშებითა და ყვავილებით, ქალაქის ყველა უბნებიდან გაიმართება რუსთაველის ქუჩისაკენ, სადაც სახელმწიფო თეატრისა და ალექსანდროვის ბაღებში გაიმართება ბავშვების დღესასწაული მრავალი გასართობებით.

3. დილის 11 საათზე სამხედრო ტაძარში მის უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოზის ლეონიდეს მიერ გადახდილ იქმნება პარაკლისი საქართველოს ლაშქრის გამარჯვებისათვის და პანაშვიდი სამშობლოსათვის თავდადებულთა სულის მოსახსენებლად. რის შემდეგ ტაძრის გალავანში გაიმართება თბილისის გარნიზონის ჯარისა და სახალხო გვარდიის პარადი. პარადის დროს სამხედრო ტაძარზედ იფრენენ ჰაეროპლანები.

4. 12 საათზე სახელმწიფო თეატრში, საქართველოს ელჩი ინლისში ბ-ნი დავით ღამბაშიძე წაიკითხას მოხსენებას: „საერთაშორისო მდგომარეობა და დამოუკიდებელი საქართველო“.

5. საღამოს 6 საათიდან: მუშტაიდსა, ორთაჭალასა, ავლაბარსა, ნაძალადევში თბილისის ყველა კლუბებში სეირნობები გაიმართება ლატარიის ალეგრით, კონცერტებით და წარმოდგენებით საუკეთესო არტისტებისა და ლიტერატურელ ძალთა მონაწილეობით. ზეიმი ყოველგან დილის 5 საათამდის გასტანს.

6. ტრამვაის მიმოსვლა ქალაქში ნაშუაღამევის პირველ საათამდე გასტანს.

მომწყობი კომიტეტი.

## სათემო კომისართა თავგასულობა

### გერმანელთა ახალშენში

მარიენფოლდის, პეტერსდორფის და ფრენდატელის მცხოვრებ გერმანელ მოახალშენეებმა შეადგინეს ოქმი და შინაგან საქმეთა მინისტრს მიართვე ; გერმანელები სჩივიან, რომ რაიონის კომისარი ალექსანდრე ზახარიევი და მისი თანაშემწე ნიკოლოზ ლომიძე მ ტად უდიერად ექცევიან გერმანელ ახალშენების მცხოვრებთ, აპატიმრებენ უმიზეზოდ, აგროვებს უკანონო გადასახადებს და სხვა. გერმანელები სთხოვენ მინისტრს, რომ დაიცვას ადგილობრივ ადმინისტრაციის თავგასულობისაგან. ყოველივე ეს გერმანელებმა თბილისის გერმანულ საბჭოს აცნობეს.

## ამერიკულ კომიტეტში

ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა იმ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ, რომელიც აღმოუჩენიათ ამერიკულ კომიტეტში. სხვათა შორის აღმოჩენილ ბოროტ-მოქმედებაში მთავარ როლს ასრულებდა ბ-ნი პლაკსკი, რომელსაც თვალსაჩინოდ თანამდებობა ეჭირა ხსენებულ კომიტეტში. ბ-ნ პლაკსკის საქმე სისხლის მილიციამ საგამომძიებლო ნაწილს გადასცა და მოკლე ხანში გარჩეულ იქმნება თბილისის საოლქო სასამართლოში.

## თფილისის ფიზიკური ობსერვატორია

საქართველოს დამფუძნებელ კრების საგანმანათლებლო კომისიამ შეიმუშავა და მოკლე ხანში იქნება განხილული დამტკიცებული შემდეგი პროექტი დეკრეტისა ტფილისის ფიზიკურ ობსერვატორიის თბ. სახელმწიფო (ქართულ) უნივერსიტეტისათვის გადაცემის შესახებ.

1. ნაცვლად არსებულ კანონდებულებისა კანონი მთავარ ფიზიკურ ობსერვატორიის და მის ხელქვეით ფილიალ განყოფილებათა. თ კის შტატების დადგენისა, იხ. მთავრობის დებულებათა კრებული, 1913 წლის 16 იანვრის კანონი № 14, დაწესდეს შემდეგი:

2. თბილისის ფიზიკური ობსერვატორია, მისი ქვემდებარე კარსანის მაგნიტური სადგური და ყველა განყოფილებანი მთელი თავის უძრავი და მოძრავი ქონებით და საქმეებით გადაეცეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მართვა-გამგეობისათვის.

3. დაევალოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს შეიმუშაოს ფიზიკურ ობსერვატორიის დებულებისა შტატი პროექტი და წარუდგინოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას განხილვისა და დამტკიცებისათვის.

4. თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიის სახელობაზე ხაზინიდან გახსნილი კრედიტი გადაირიცხოს თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის განკარგულებაში.

## პრესბიუროს გაფრთხილება

აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა საქართველოს რესპუბლიკაში პროტესტით მიმართა გარეშე საქმეთა მინისტრს გაზეთ „კავკაზსკოე სლოვო“-ს 21 და 22 ივლისის ნომრებში მოთავსებულ სომეხ მოქალაქეთა მიმართულ განცხადების შესახებ, რომელსაც აღმაშფოთებელ ინსინუაციის ხასიათი აქვს აზერბაიჯანის მთავრობის მიმართ. ამასთანავე ხსენებულმა წარმომადგენელმა გასუცხადა, რომ ის ოფიციალური ცნობები, რომელსაც დიპლომატიურ წარმომადგენლობის საინფორმაციო ბიურო აწვდის პრეს-ბიუროს ტფილისში გამოცემულ ყველა ბეჭდვით ორგანოებში არ იბეჭდება, რაიც აძლევს საშუალებას ზოგიერთ ტენდენციურ ორგანოებს ათა საზოგადოებრივ აზროვნებაზე მტრული გავლენა მოახდინოს აზერბაიჯანის მთავრობის მიმართ. ამ საქმის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრო სცნობს რა საჭიროდ, რომ ყველა ცნობები, რომელნიც იბეჭდება სხვა და სხვა ორგანოებში და რომელნიც ეხება ჩვენთან მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოებს უნდა იქნეს მკაცრად შემოწმებული მის გამომქვეყნებამდე და ოფიციალური

ცნობები, მიწოდებული დიპლომატიურ წარმომადგენელთაგან საინფორმაციო წესით უნდა იბეჭდებოდეს ყველა ბეჭდვით ორგანოებში. აფრთხილებს პრეს-ბიურო, რომ ის, ვინც აღნიშნულ ჩვენებას არ აასრულებს დასჯილი იქნება ადმინისტრატიული წესით.

**პრეს-ბიუროს განმარტება შინაგან სამინისტროსადმი.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასუხოდ ზემო აღნიშნულ ცნობის შესახებ პრეს-ბიურო აცხადებს, რომ იგი ყველა წევრებს აძლევს აზერბაიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლობის საინფორმაციო მთავრობისაგან მიწოდებულ ცნობებს და თუ ისინი ყველა ორგანოებში არ იბეჭდება ამაში თვით რედაქციები არიან პასუხისმგებელნი, ხოლო რაც შეეხება ისეთ ცნობებს, რომელნიც მტრულ განწყობილებას ბადებს ჩვენს მეგობარ სახელმწიფოთადმი, ასეთები პრესბიუროს არავისთვის არ მიუწოდებია და აღნიშნულს მტრულად განწყობილი ბეჭდვითი ორგანოებში იღებენ პრეს-ბიუროს გარეშე, კერძო წყაროებიდან.

# დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

ივლისის 17-ს

## ფრანგული პრესა

**მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს სხდომა.**

პარასკევს, შუადღისას შესდგა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს სხდომა, რომელზედაც განაგრძნობდნენ მცირე აზიის ოკუპაციის საკითხის განხილვას. იმავე დღეს მოხდა საახალშენო, პასუხისმგებლობის, საზღვრების და სხ. კომისიების სხდომები, რომელზედაც, განიხილეს გერმანიის აღმოსავლეთის საფრანგეთის და ბელგიის საზღვრების საკითხი. უმაღლესმა საბჭომ მოისმინა კომისიების მოხსენებები და აგრეთვე ამერიკის პროექტი იმ კომისიების მუშაობის გაერთიანების შესახებ, რომელნიც საზღვრებს იმუშავებენ.

## ტრანსოკეანეს პრესა

**ბელგიის ნეიტრალობის უზრუნველყოფის გარშემო.**

ჟოფრს უსაყვედურეს, რომ ომის გეგმის შედგენის დროს მან მხედველობაში არ მიიღო გერმანიის მიერ ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევის შესაძლებლობა. ჟოფრმა განმარტა, რომ ეს მუდამ ჰქონდა მას მხედველობაში. მართალია, რომ გეგმით № 17 რომელიც ომის დასაწყისში მიიღეს განზრახული იყო ჯარების უმეტესად სამხრეთით თავის მოყრა და მხოლოდ აგვისტოს 2 გაიცა ბრძანება ჯარის მარცხენა ფრთაზე გაგზავნის შესახებ. როდესაც საფრანგეთმა გაიგო, რომ გერმანიამ ულტიმატუმი წარუდგინა ბელგიას. დამარცხება შარლრუარსთან სადაც საფრანგეთის ჯარებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ბრძოლაში, იმით აიხსნება, რომ აქ საფრანგეთის ჯარის ყველაზე სუსტი ნაწილი იყო და გერმანელებმა საუკეთესო ძალებით შემოუტიეს მას. ჟოფრის განმარტების აზრი ისეთია, რომ ნაადრევად უარჰყვეს გეგმა № 17. და მიიღეს გეგმა № 16. ბევრი მცოდნე პირი იმ აზრისაა, რომ არამც თუ საფრანგეთმა მხედველობაში მიიღო ინგლისთან დადებული ხელშეკრულება, არამედ ყველას მიერ ისიც იყო აღიარებული, რომ გერმანიას, თუ ორ ფრონტზე მოუხდებოდა მას ბრძოლა, ბელგიაზე უნდა გაევლო. ბელგიის სამხედრო ატაშემ ბერლინში შეველიმ და მელოტმა 1914 წ. ივლისში განაცხადა, რომ თუ გერმანიას ეჭვის თვალით უყურებს ბელგიელთა განზრახვებს და მათ არმიას მცირე ძალად სთვლის, ბელგიელები ომის წინაშეც არ დაიხევენ.

შემდეგ წერილის ავტორი ამბობს, რომ თუ ომი 1911 წ. დაიწყებოდა, მაშინ პოლკ. ბრიჯის აზრის თანახმად ინგლისი მზად იყო ჯარი გადმოესხა ბელგიის ტერიტორიაზე, მისი მთავრობის დაუკითხავად. № 17 გეგმის თანახმად კი საფრანგეთი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა შესული ყო ბელგიაში. ამნაირად, არც საფრანგეთის და არც ინგლისს არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვთ გერმანიას ბრალი დასდონ იმაში, რომ მისი სტრატეგია კანონიერი არ არისო.

**გერმანია-ავსტრიის კავშირი ომამდე**

ადმირალ ტირპიცის წიგნიდან, რომელიც მალე გამოვა, ნათლად სჩანს, რომ 1914 წ. ივლისში გერმანიის მთავრობას სურდა, რომ ავსტრიას ულტიმატუმი გაეგზავნა სერბიისთვის, და აგრეთვე ცნობილი იყო, რომ ულტიმატუმის გადაცემის შემდეგ ივლისშივე, კრიტიკულ ხანაში, ჰეტმანმა განაცხადა, რომ ის „მაგიდას ავსტრიის მუშტს დაჰკრავს“.

**ინგლისური ქვანახშირი შვეიცარიაში**

შვეიცარიიდან იუწყებიან, რომ წყლის გზებით იქ ჩამოვიდა ინგლისური ქვანახშირით დატვირთული პირველი გემი.

## ინგლისური პრესა

**ბულგარეთის მოთხოვნილება**

ბულგარეთის საზავო დელეგაცია თეოდოროვის მეთაურობით პარიზს გაემგზავრა კონფერენციისთვის წინადადების წარსადგენად. თეოდოროვი, ხელმძღვანელობს რა იმ დებულებით, რომ დამარცხებულებს დავლა არ ავნებთ, წარბშეუხრელად წინადადებას იძლევა, რომ გამარჯვებულ მეზობლებს მათი ტერიტორიის ნაწილი წაართვან. რუმინიისაგან ის მოითხოვს დობრუჯის იმ ნაწილს, რომელიც 1913 წ. ბუქარესტის ხელშეკრულებით მას დაეთმო, სამხრეთ სლოვიასაგან—სერბიის მაკედონიას, საბერძნეთისაგან—ბერძნულ მაკედონიას და ოსმალეთისაგან—ფრაკიას. ამის გამო ერთ დიპლომატს უთქვამს, თუ ბულგარეთის დამარცხება ასე უნდა შეფასდეს, რასაც მოითხოვდა ის, თუ გაიმარჯვებდა და რამდენიმე თვის განმავლობაში მოკავშირენი ბეჯითად ადევნებდნენ თვალყურს ბულგარეთს, რომელიც თავის ჩვეულებისამებრ აღმოსავლეთ ევროპაში არეულობის დაწყებას ელოდა, რათა ამით ესარგებლნა და მეზობლების ტერიტორია მიესაკუთრებინა. მიუხედავად სექტემბერში დროებითი ზავის შესახებ დადებულ ხელშეკრულებისა ბულგარეთში დასტოვეს ათი ქვეითი დივიზია, 8—ცხენოსანი და სამხედრო მასალა კომიტაჯების დიდი ბრბოები მოსაზღვრე ოლქების მცხოვრებთა ცარცვას განაგრძნობდნენ. ბულგარეთს სურდა იტალიასა და სამხრეთ სლავიას შორის დამოკიდებულება გაემწვავებია, რის შემწეობითაც ის შესძლებდა სერბიას დასხმოდა. მცირე აზიაში კი იმავე მიზნით ბერძნებს და იტალიელების შორის უწესოება მოაწყო რათა ბერძნების ყურადღება მაკედონიისთვის აეცილებინა. ყველა ამის გამო კონფერენციაზე თეოდოროვს ისევე ცივად შეხვდნენ, როგორც ოსმალებს.

ავსტრიის ხელშეკრულებას ხვალ დაამთავრებენ. ამერიკელთა აზრით, შესაძლებელია, რომ კონფერენცია დღეს საღამოთი ჰუნგრეთის საკითხის განხილვას შეუდგეს. ჰუნგრეთიდან პარიზში დამაკმაყოფილებელი ცნობები მიიღო.

## ბოლშევიკური ცნობები

**გამარჯვება სარატოვის ფრონტზე.**

**სარატოვი,** ივლისის 6. თავისით მიატოვეს პოზიციები და ჩვენ ჯარებს დანებდა ყაზარდოელთა მე 4, ჩაჩნების 1 და მე-3 კოლჩაკელთა პოლკები.

**მოხალისენი ხარკოვში.**

**ხარკოვი,** ივლისის 7. ხარკოვის კორპუსის უფროსმა კუტეპოვმა გამოსცა ბრძანება, რი მელშიაც ნათქვამია, რომ მკაცრად დასჯიან ყველას, ვინც ბოლშევიკების გამარჯვების შესახებ ცნობებს გამოაქვეყნებს. „კონტრ-რაზვედკას“ ნაბრძანები აქვს ზომები მიიღოს ხარკოვში დარჩენილ კომუნისტურ ორგანიზაციების ყოფილ წევრთა დასაჭერად, რომელნიც ბოლშევიკებს დახმარებას უწევენ.

**გლეხები დენიკინის წინააღმდეგ.**

პოლტავის გუბ. რამდენიმე სოფლის გლეხთა ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „გრიგორიევისა, მახნოსი და დენიკინისა ჩვენ არაფერი გვწამს. ისინი დახვრეტას გვიქადიან. საბჭოთა მთავრობის მეოხებით იარაღს ავიღებთ შემოტეულ ბურჟუაზიის უკუსაქცევად. გლეხებმა შეიგნეს მომენტის მნიშვნელობა და ჯარში ეწერებიან ყაზახებთან საბრძოლველად, რათა პური ჩარჩებსა და ყაზახებს არ ჩაუვარდეს ხელში. სოფლიდან ყოველ დღე მოდიან წითელი მოხალისენი, ეკატერინოსლავის გუბ. 7 სოფელმა 20,000 ფუთი პური მისცა წითლებს.

**ლენინის სენსაციური ცნობები.**

**მოსკოვი.** ივლისის 18. „ხოდინკას“, ბანაკებში ლენინმა წითელ ჯარის-კაცებს უთხრა: „ვერსალის დღე—ეს მთელი ქვეყნის იმპერიალისტების და მარცხების დღეა. ივლ. 14, პარიზის მუშებმა ბურჟუაზიის მიერ მოწყობილი გამარჯვების დღესასწაული ჩაშალეს. ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მუშებმა საერთო პოლიტიკური გაფიცვები გამოაცხადეს.

დასავლეთის პროლეტარიატმა მოკავშირეებს ხელი შეუშალა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრებაში მან იცის, რომ კოლჩაკი უკვე დამარცხდა და ეს ცხადია. ცხადია ისიც, რომ დენიკინის დამარცხებაც მოახლოვებულია. ამას მოყვება პროლეტარიატის გამარჯვება დასავლეთში, სადაც მუშათა მოძრაობა ბოლშევიკურ ხასიათს ღებულობს და არ არის შორს ის დღე, როდესაც მთელი ევროპა გაერთიანდება ერთ საბჭოთა რესპუბლიკაში, რომელიც მთელ ქვეყანაზე მოსპობს კაპიტალისტების ბატონობას.

**წარმოდგენები ჯარში.**

მოსკოვიდან ფრონტზე წარმოდგენების ვასამართავად მსახიობებს გზავნიან.

**ხარკოვი.**

**კიევი,** ივლისის 17. მიუხედავათ იმისა, რომ ხარკოვის გუბერნატორმა ბოგდანოვიჩმა თავისუფალი ვაჭრობა გამოაცხადა ყაზახებისაგან დაშინებულ გლეხებს სურსათი მაინც არ შემოაქვთ. ფასები თანდათან მაღლა იწევს და ბრძანებებმა ხალხის ნდობა ვერ დაიმსახურა. დონის ოლქის მაღაროებში მუშაობა შეწყვეტილია, რადგან მუშების უმეტესობა წითელ ჯარში ჩაეწერა.

**ბრბოებისაგან გაწმენდა.**

**კიევი,** ივლისის 17. კელინოვკა-ივანოვის რაიონში ბრბოებისაგან გავანთავისუფლეთ. ამ რაიონებში ყველგან ჩვენი ჯარი სდგას სავინიცაში და კანატინოში სიწყნარეა,

**დენიკინელთა შეთქმულება.**

**კიევი,** ივლისის 17. ხერსონში სამხედრო პირთა კონტრ რევოლუციონური შეთქმულება აღმოაჩინეს. დაიჭირეს ყოფილი მეფის ჯარის რამდენიმე ოფიცერი. შეთქმულების მონაწილეთ დენიკინის აგენტებისაგან მიუღიათ დიდძალი ფული აჯანყების მოსაწყობათ. მათ აღმასრულებელ კომიტეტის დაპატიმრება ჰქონდათ განზრახული.

**სამხედრო ცნობა.**

**კიევი,** ივლისის 17. ეკატერინოსლავის დაჭერამდე იქიდან გამოიქცნენ გენ. შჩიკინინი, ვიცე გუბერნ. იანოვსკი და სხვები.

**№-ის არმიის შტაბი.** ივლის. 17. № ის დივიზიამ მაისის ქარხანა დაიჭირა: ჩელიაბინსკზე შეტევა გრძელდება.

## დაღესტნის შეიხ-ულ-ისლამის მიმართვა

**მოხალისეთა ჯარის დაღესტანში მთავარ წარმომადგენლისადმი.**

მე, დაღესტანის შეიხ-ულ-ისლამი ალი ჰაჯი აკუშინსკი, რომელსაც მიზნად მაქვს წავიყვანო ჩემი ხალხი ღვთიურ გზით სიკეთისა, სიყვარულისა და სიმშვიდისაკენ, მაქვს პატივი მოგმართოთ მთელი დაღესტნის ხალხის სახელით მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელს დაღესტანში, შემდეგი განცხადებით:

„მოხალისეთა ჯარის და სარდლობის მიერ დაღესტანის საზღვრებში ჩადენილი ფაქტები, მაგ.- დაღესტანის ხალხისაგან რვა ბათალიონი ქვეითი ჯარის ორი სამხედრო პოლკის გენ. ლიახოვის მიერ მოთხოვნა, დაღესტანის ტერიტორიაში მოხალისეთა ჯარის შემოჭრა და მათ მიერ თ.-ხ.-შურის და დერბენტის დაკავება, იმ ქალაქთა დაკავება, რომელნიც ამიერ-კავკასიაში ბრიტანეთის ძალთა მთავარსარდლისადმი დიდი ბრიტანეთის მთავრობის ცნობით, კავკასიის დემარკაციონულ საზღვარის იქით უნდა ჩაითვალოს, დაღესტანის საზღვრებში სამხედრო და მოქალაქეობრივი ძალის ხელში ჩაგდება, განზრახული და აშკარა წაქეზება და მფარველობა ოფიცერ-ბეგთა წოდებისა, რომელიც უპირდაპირდება 20 პროცენტიან მცხოვრებთა მშრომელ კლასს, დაღესტანში სხვა და სხვა ადგილზე გამოშვებულ ფულის ნიშნების (ბონების) ძალადობით შემოღება, მაგ.: კასპიის იქითა მხარის, დონის, თერგის საბჭოების, რომელნიც თვით მოხალისეთა სარდლობამ მოსპო თერგის ნაწილში; მშვიდობიან სოფლებისთვის დამსჯელ რაზმების საშუალებით იარაღის წართმევა, და ხარკის დადება, (საქონლით, ხორბლით, ფულით და სხვ.); ქალაქებში და ქალაქ გარედ მშვიდობიან მცხოვრებელთა ყაზახების მიერ შეიარაღებული თავდასხმა იარაღის წართმევის და ძარცვის მიზნით; სოფლელების, მეთევზეების და მუშების დაშინება, რის გამო სრულებით შეწყვეტილია მათი მუშაობა, ყველა ჩამოთვლილი ფაქტები და მრავალი სხვაც, ნიშნავს დაღესტანის ხალხის ნებაზე ძალადობას, არის დემოკრატიულ თავისუფლების აშკარა დარღვევა, დარღვევა მათთვის წმიდა შარიათის, ყველაფერი ეს იწვევს მათ აღშფოთებას. ასეთი მოქმედება ყოვლად შეუწყნარებელია, ასეთ მოქმედებას არ ჰქონია ადგილი ძველი რეჟიმის დროსაც რუსის არმიის მხრივ.

დაღესტანის ხალხს არ მოუწვევია მოხალისეთა ჯარის ნაწილები თავის ტერიტორიის საზღვრებზე. მას არ მოუცია არავითარი საბაბი შემოჭრისთვის, რომელიც ზევით იყო აღნიშნული. დაღესტანის ხალხი მის ნებაზე ძალადობის მოხდენის და მისთვის წმინდა შარიათის დარღვევის არამც თუ გამამართლებელ საბუთებს ვერ პოულობს, არამედ ვერ პოულობს, ამის ახსნელ და განსამარტებელ მიზეზსაც კი.

დაღესტანს, რომელიც შესდგება მშრომელ ელემენტებისაგან—მუშების და მიწის მუშებისაგან, რომელიც ეკონომიურად რუსეთისაკენ იხრება, არ გაუხსნია ფრონტი რუსეთის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. რევოლიუციის ბრწყინვალე დღეების შემდეგ ის ყოველ ღონეს ხმარობდა შეემუშავებინა ისეთი რეჟიმი რომელიც შეეთანხმებოდა მშრომელ ხალხის ინტერესებს. დაღესტანს სურს იცხოვროს თავის საკუთარ ცხოვრებით და მიანდოს რევოლიუციის პროცესს მისი საერთო სახელმწიფოებრივი წყობილების შემუშავება. ამ შემუშავებაში მასაც აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა რუსეთის სხვა ერებთან ერთად. ამიტომ დაღესტანის ხალხი არ სცნობს მოხალისეთა ჯარზე არაარავითარ უფლებას, რომელიც მას ძალას აძლევს მოახვიოს თავზე დაღესტანის ხალხს ის საერთო სახელმწიფოებრივი ფორმები, რომელიც მას სურს და რომლის გამორკვევასაც დაღესტანი მთელის რუსეთის ყველა ერების სამართლიანად მოთხოვნილებათა გამორკვევიდან.

მოხალისეთა ჯარის მიერ სხვადგვარათ საკითხის დასმა და პოლიტიკა დაღესტანის მიმართ, დაღესტანის ხალხს აიძულებს ყაზახების მოქმედებაში დაინახოს მათი სურვილი, რომ იბატონონ დაღესტანზე და ამას შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ ნაციონალური ომი იმ ხალხთა შორის, რომელნიც დღემდე კეთილ მეზობლურ განწყობილებაში ცხოვრობდენ. თუ მოხალისეთა ჯარი თავის თავს სთვლის საერთო სახელმწიფოებრივ შენებისათვის ერთ ერთ მებრძოლ ძალათ, მან იქ უნდა აწარმოოს ბრძოლა, სადაც ამის მოწინააღმდეგე მებრძოლი ძალა მოქმედებს. დაღესტანი აღიარებს სრულ უფლებას მოუაროს თავის თავს და მოაწესრიგოს თავის საქმეები თავის ადათის და წმინდა შარიათის თანახმათ, სანამ რუსეთის საერთო სახელმწიფოებრივი ფორმა არ ჩამოყალიბდება. დაღესტანის ხალხი თავის თავს ვალდებულათ არ სთვლის, რომ პასუხი გასცეს სხვა და სხვა პირთა მიერ წამოსროლილ უპასუხისმგებლო და მტრულ ბრალდებებს, თითქოს მენშევიზმი, ბოლშევიზმი და სხვა იყოს იქ გამეფებული. დაღესტანის ხალხი ვერ მოითმენს ისეთ აქტს, ვისგანაც არ უნდა იყოს იგი, რომელიც ეწინააღმდეგება, მის ნებას, ვერ მოითმენს ამას, ვერც შინ, თვით დაღესტანში, ვერც გარეთ, სანამ არ გამოირკვევა რუსეთის ხალხთა საერთო ნება.

ზემოთქმულის საფუძვლით, მე ალი ჰაჯი აკუშინსკი, დაღესტანის შეიხ-ულ-ისლამი, სრული თანხმობით შეიხ-უზუნ ხაჯისთან და სხვა მაღალ ალიმებთან ერთად, დაღესტნის ხალხთან სრული თანხმობით და მისი სახელით პატივს ვაძლევ ჩემს თავს მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელისაგან დაჟინებით მოვითხოვო შემდეგი: 1) გაიწმინდოს მოხალისეთა ჯარის ნაწილებისაგან ქალაქი ტემირ-ხან-შურა და დერბენტი, გაყვანილ იქნეს ეს ჯარი დაღესტანის სადემარკაციო ხაზს იქით თანახმათ დიდ ბრიტანეთის მთავრობის ცნობისა.

2) არ მოხდეს არავითარი ჩარევა დაღესტანის შინაურ საქმეებში, საჯარო აქტით აღიარებულ იქნეს დაღესტანის ხალხისთვის და მხოლოდ მისთვის სრული უფლება თვითმართველობისა, ისე როგორც, დაღესტანის ხალხი აღიარებს ყაზახებისათვის და რუსეთის დანარჩენ ხალხისათვის მათი თვითგამორკვევის უფლებას 3) მოსპობილ იქნას ბრძანება დაღესტანის მმართველის დანიშვნის შესახებ და უარი ითქვას დაღესტანზე ოფიცერთ ბეგების წოდებრივ დიქტატურისთვის მხარის დაჭერაზე.

4. თუ დაღესტანის ხალხის ზემოაღნიშნულ პირობას მიიღებს მოხალისეთა ჯარის სარდლობა, მე, როგორც დაღესტანის შეიხ-ულ-ისლამი, ვალდებულად ჩავრიცხავ ჩემს თავს მის წინააღმდეგ მტრული მოქმედება არ ვაწარმოვო; წინააღმდეგ შემთხვევაში, მე და აგრეთვე დაღესტანის ხალხიც, ვიტოვებთ თავისუფალ მოქმედების უფლებას და მოსალოდნელ შედეგების მთელ პასუხის მგებლობას ვაკისრებ მოხალისეთა ჯარს.

5) წერილობითი სახით პასუხი ამ ჩემს განცხადებაზე გთხოვთ გადასცეთ ჩემს წარმომადგენელს 24 საათის განმავლობაში ამ განცხადების ჩაბარების დროიდან.

# რუსეთი

## მოსკოვსა და პეტროგრადში.

**პეტროგრადი.**

ჰაოსის ნისლებში გახვეული პეტროგრადი საშიშარ სიცხადეს წარმოადგენს. ნისლი და სიცივის ჟრჟოლა ახლა უფრო მეტია ფანტასმების ქალაქში. მკერდშელეწილი ავადმყოფი უიმედოდ ჰფეთქს მოღუნებულ ზღვის ყურეზე. ფანჯარა რომელიც გამოსჭრა რუსეთის საშიშარმა ხირურგმა და რომლის ლურჯი მინაც აჩვენებდა მაცდურ ზმანებას მილეწილია შმაგი ხელით.

პეტროგრადი, თეთრი პეტერბურგი თავის თეთრი ღამეებით ახლა მიბინდულია და ის ჩრდილოს განათებაც თბილი სხივით რომ აშუქებდა მის მარმარილოს პალატებს თითქოს ნაკლებ ეჩვენება ტრაურში გახვეულ ქალაქს.

ქალაქში საალყო წესებია გამოცხადებული. საათის ისარი ერთი საათით არის წაწეული. ისედაც გაუდაბნოებულ პეტროგრადში მიმოსვლა შეჩერებულია. საღამოს 6 საათიდან კარში ხალხი ნაკლებად სჩანს. დიდს პროსპექტებსა და ბულვარებზე ხალხი კანტიკუნტად დაიარება და ნევის გაშლილი ქუჩაც მხოლოდ წარსულის მოგონებას და იწვევს.

**უსურსათობა და ფულის კრიზისი**

მე მგონი არც ერთი ქალაქი არ განიცდის დღეს ისეთს უსურსათობას, რანაირსაც პეტროგრადი.

ქალაქში პური ნაკლებად არის და მოქალაქის რაციონს მხოლოდ გირვანქის ერთი მერვედი შეადგენს. უფრო მეტი იშოვება ბაღეტი რომლის ფასიც მეტად აწეულია.

ქალაქი ცხენის ხორცით იკვებება კარგა ხანია და ხალხიც თითქმის შეჩვეულია მის გემოს. გირვანქა ცხენის ხორცისა 100 მანეთი, ჰღირს. მაგრამ პეტროგრადში ფულის კრიზისს თავის სიმწვავით ყველას აჭარბებს.

ბოლო ხანებში ქალაქს მუსრი გაავლო შავმა სახადმა.

**ხსნა სიმშილისგან.**

ერთად ერთი გამოსავალი შიმშილიდან პეტერბურგში არის წითელ არმიაში ჩაწერა. წითელ არმიელი ყოველ შემთხვევაში უზრუნველყოფილია დიდ სიმშილობისაგან.

**ჩაცმულობის სიმდიდრე.**

პეტროგრადში მხოლოდ ერთმა გარემოებამ გამაკვირვა, სახელდობრ იმან, რომ პეტროგრადის მოსახლეობა ჩაცმულობაში არავითარ ნაკლულევანებას არ განიცდის და უცხოს თვალს არა თუ არ აკმაყოფილებს არამედ კიდეც აოცებს.

**ქაღალდი**

ჩაცმულობასთან ერთად დიდს ყურადღებას იქცევს პეტროგრადში ქაღალდის სიმდიდრე.

ფინლიანდიიდან პეტროგრადში თითქმის ყოველდღე მოდის ქაღალდით დატვირთული გემები.

**მუსიკა და ლიტერატურა**

საგულისხმოა გასახსენებლად ისიც, რომ ეს გაწყვეტილი დ დამშეული ქალაქი თურა მფარველობას უწევს ხელოვნებას. როგორც პეტროგრადსა ისე მოსკოვში გამოდის დიდძალი გაზეთები, ბროშურები, წიგნები, ფურცლები და სხვა.

ახალი პოეტები ჰსცემენ სალიტერატურო კრებულებს [illegible] თავის წიგნებს, მთავრობაც ყოველგვარსა ზნეობრივსა თუ მატერიალ დახმარებას უჩენს მათ.

რამდენიმე ათი ათასები არის გადადებული რუსულ კლასიკების ხელმეორედ გამოცემისთვის ამ საქმეს ჰხელმძღვანელობს პოეტი ვალერი ბრიუსოვი.

თითქმის ყოველ საღამოობით ქალაქის ბაღებსა და თეატრებში იმართება კონცერტები და საღამოები, რომელზედაც დიდძალი ხალხი, განსაკუთრებით პროლეტარიატი ესწრობა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საღამო-კონცერტებზედ წითელგვარდიელები შესვლისთვის აღნიშნულ ფასის ნახევარს იხდიან. ამასთანავე შემდგარია სახელოვნო კომისიები, რომელნიც დიდ მუშაობას ეწევიან ხელოვნების სხვა და სხვა დარგებში.

**განათლების გავრცელება სოფლად**

მიყრუებულ სოფლებში მთავრობისგან იხსნება უფასო სასწავლებლები ბავშვებისა და მუშებისათვის. მოსწავლეთა რიცხვი სასწავლებლებში დიდია...

**ბოლშევიკური ლიტერატურა**

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ბოლშევიკურ ლიტერატურას რომელიც პროვინციაში ვაგონობით იგზავნება

ბოლშევიკურ ლიტერატურის გავრცელებაში სხვათა შორის დიდ მონაწილეობას იღებენ მხატვრები რომელნიც ჰხატავენ ტენდენციურ სურათებს მაგალითად პირადათ მე ვნახე სურათი: თუ როგორ ატყავებს გლეხს მღვდელი. ასეთი ხასიათის სურათები ვაგონობით იგზავნება პროვინციაში.

**პარტიული პროპაგანდა.**

პარტიულ პროპაგანდისა და მუშაობისათვის იხარჯება მილიონები და მთავრობის მთელი ყურადღება ამაზედ არი მიქცეული. რუსეთის ყოველ კუთხეებში იგზავნებიან პარტიული პროპაგანდისტები დი თან ატანენ დიდძალ პარტიულ ლიტერატურას.

**ინგლისის ფლოტი**

ინგლისის ფლოტი ფინურყურეში დგას და ელის ქალაქში შესვლისათვის ხელსაყრელ დროს.

**პეტრდგრადის ქართველობა.**

წითელ ტერრორის მიერ იძულებულმა პეტროგრადში მყოფ ქართველობის უმეტესობამ მიაშურა სტოკჰოლმსა და ჰელსინგფორსს. ბოლო ხანებში აქაურ ქართველობამ დიდი უბედურობა გადიტანა. კომუნისტებმა სულ ახლა დახვრიტეს სერგი კოსტავა და ვინმე თუმანიშვილი. ილია მაყაშვილი კი პირდაპირ სიმშილის მსხვერპლი გახდა.

ქართული საელჩო რომლის წარმომადგენლად ალექსანდრე ჩერქეზიშვილი ითვლებოდა კომუნის მთავრობამ დახურა.

სიკვდილს გადარჩენილ ქართველობის გაჭირვება აუწერელია.

დევნა და შევიწროება ბოლო ხანებში მათი ხშირი სტუმარია. ავ მდგომარეობას ამწვავებს უსურსათობა და ყოველდღიური სისხლის ღვრა.

**მოსკოვი.**

მოსკოვში უფრო წესიერ კალაპოტში არის ცხოვრება ჩაყენებული.

ქალაქის ნაწილები დაზიანებულია დ განსაკუთრებით კი კრემლი რომელიც სავსეა ნანგრევებით. თვითონ ქალაქი სევდიან შთაბეჭდილებას სტოვებს.

ადრე გავრცელებული ეპიდემია ქალაქში სულ არის. ცხოვრება მოსკოვის ერთფეროვანია.

**გაზეთები მოსკოვში**

მოსკოვში გამოდის შემდეგი გაზეთები: „პროლეტარიატი“, „კომუნისტი“, „ბედნოტა“, „ზვეზდა“, „კრასნაია არმია“ და მრავალი სხვანი.

**მექრთამეობის წინააღმდეგ**

მექრთამეობა როგორც წინათ ისე დღეს გავრცელებულია რუსეთში. მთავრობა ყოველივე ზომებს იღებს მის ძირშივე აღმოსაფხვრელად.

ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი სისასტიკით ეპყრობა მუშებს. თუ რომელიმე მუშა მოხელე შემჩნეული იქნა მექრთამეობაში, მთავრობის განკარგულებით მას სასწრაფოდ მიესჯება სიკვდილის განაჩენი დახვრეტის საშუალებით. უფრო დარბილებულია სასჯელი არა მუშებისათვის. კერძო პირს მექრთამეს მიესჯება 4—5 თვით ციხე.

**ლენინის პოლკი.**

მოსკოვში შემდგარია ლენინის პოლკი, რომელიც ძველ გვარდიასავით იცავს ლენინის სადგომს. პოლკის ჯარისკაცთა ფორმა ამნაირია: წითელი შარვალი, ლილისფერი კურტკა, ყვითელი ექსელბანდი და ჰუსარს ქუდი.

**საერთო შთაბეჭდილება.**

საერთო შთაბეჭდილება ამნაირია: ყველასა და ყველაფერს კატასტროფის საშიში კვალი ეტყობა.

რუსეთი გავლებულია ალის მწველ შხეფებში და მეორედ მოსვლის საშინელების სუნი ახლაც ტრიალებს.

რუსეთის ნება დამსხვრეულია.

მაგრამ დრო მურანებისა და ბინდებისა მიდის სიჩქარით.

ირკვევა მკვეთრი სილიუეტი ამათულ მარჯვენის.

გ. არელმანელი.

# უცხოეთის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**მრეწველობის კრიზისი.**

შვეციაში მრეწველობის კრიზისი ახლოვდესა. ამ ომის დროს შვეციამ დიდძალი საქონელი დააგროვა, რომელიც ნელ-ნელა რუსეთში გაჰქონდა. ეხლა კი რუსეთის სამოქალაქო ომების გამო გზა შეიკრა და საქონელი ველარსად გააქვს. მექანიკურ ქარხნებს აღარავინ უკვეთს საქონლის დასამზადებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად, რის გამოც დღითი დღე საქონლის ქარხნების რიცხვი თანდათან მცირდება. ასევე ემართება ელექტრონის ქარხნებს; საქსოვი ქარხნები აღარ მუშაობენ და ქიმიური კიდევ ველარ გადის ამერიკულ ქიმიურ ნაწარმოებთა სიიაფის გამო.

**ინგლისის პარლამენტის ახალი მდივანი.**

ლონდონიდან იტყობინებიან, რომ პარლამენტის მდივნად დაინიშნა ხაგერ გრიმვუდი.

**ინგლისის ნახშირის წარმოება.**

ლონდონიდან იუწყებიან, რომ თემთა პალატაში შევიდა განსახილველად შესწორება „ნახშირის წარმოების დებულებისა“, როგორც 8 საათის სამუშაო დღის 7 საათზე შეცვლას მოითხოვს ხოლო 9 ნახ. საათისას 8 საათზე.

ჰფიქრობენ 1920 წელს პარლამენტი კიდევ შეამცირებს სამუშაო დღეს.

ინგლისელთა შტაბის ცნობით 1921 წელს სამუშაო ნახშირის საწარმოო დაწესებულებაში 6 საათამდე ჩამოვა.

**გემის გაძარცვა.**

სამგზავრო გემი „კონსტანტინე“, რომელიც ნოვოროსიისკიდან კონსტანტინეპოლში მიემგზავრებოდა, ტრაპიზონთან მეკობრეებმა გასძარცვეს, 15,000 ფრანკის ღირებულება წაიღეს.

# მე-11-ტე კომისარიატში

რევოლიუციის შემდეგ თუ ლაპარაკი ყოფილა ადმინისტრაციის უვარგისობაზე, მოხელეების თვითნებობასა და ბოროტ-მოქმედებაზე, ეს უმეტესად მილიციის მოხელეებზე ყოფილა; და მართლაც, არავითარ დაწესებულებაში არ ხდებოდა და არ ხდება იმდენი ბოროტ-მოქმედება, რამდენიც მილიციაში.

ამ მხრივ მე-11-ტე უბნის კომისარის ბ-ნ ჩიკვინიძის და მის თანაშემწის ბ-ნ მუსელიანის მოქმედება ერთი საუკეთესო ნიმუშია ამ დაბალ ადმინისტრატორების დასახასიათებლად, რომელთან შედარებით ნიკოლოზის ბოქაულების მოქმედება მოსაგონი არ არის. აბა რა ბოროტ-მოქმედება გინდათ რომ ეს საგანგებოთ გამოწერილი ადმინისტრატორები არ ჩადიოდენ? მექრთამეობა, ძალმომრეობა, უფლების გადაჭარბება და გარყვნილება ამ ვაჟ-ბატონების პსიხოლოგიური თვისება ყოფილა; და სისტემატიური ქურდობა თვით უბნის სამმართველოში, ამ ვაჟ-ბატონების, თუ პირდაპირ არა, არა პირდაპირ მონაწილეობით ხდება. და აი, ამისთანა კაცი-ჭამია ადამიანები ადმინისტრატორობენ დღეს მე-11-ტე უბანში. მაგრამ, რამდენადაც ასეთი პირები მავნებელია საზოგადოებისათვის, იმდენად ის არა სასურველი უნდა იყოს მთავრობისთვისაც, ვინაიდან თავის მოქმედებით ასეთ პირებს, თვით მილიციაში შეაქვთ დეზორგანიზაცია და დემორალიზაცია, და საზოგადოების თვალში კი თვით მთავრობას უკარგავს ნდობას და პატივისცემას და სამართლიან საყვედურს იმსახურებს. და ეს რომ ასე არ მოხდეს, საჭიროა მთავრობამ ეხლავე ყურადღება მიაქციოს მილიციას და სასტიკი გამოძიება მოახდინოს ზემო დასახელებულ პირების შესახებ. ამ წერილის ავტორი კი, ყოველთვის მზად იქმნება არგუმენტებით ხელში, უფრო დეტალურად დაუმტკიცოს წამოყენებული ბრალდებები, და მიუხედავად მფარველი ანგელოზების მეცადინობისა, სამუდამოთ ნიღაბი აჰხადოს მათ მოქმედებას.

ბ. ნ—ძე.

# თეატრი და ხელოვნება

**პროტესტი „არშინ-მალალან“-ის წინაამდეგ ქ. ზესტაფონში**

ყველასთვის აშკარაა თუ რა საშინელ სპეკულიაციას ეწევა ზოგიერთი ჩვენი მსახიობი ცნობილ ოპერეტკა „არშინ-მალალან“-ის შემწეობით.

ერთ თვეს რომ ამოგზაურებს დასი ჩაგუნავას მეთაურობით, მეორე თვეს წამოვა აბაშიძის ხელმძღვანელობით, შემდეგ ამისა ჩამოვლის ჯავახიშვილის დასი, ეს გაათავებს ვაჭრობას, წამოვა სარიშვილის ხელმძღვანელობით და ასე განაგრძობენ ვაჭრობას სანამ ახალახალი გვარები არ გამოელევათ და სანამდის თვით საზოგადოება არ გასცემს შესაფერ პასუხს.

აი, მაგალითად, 15 მკათათვეს ქალ. ზესტაფონში გვეწვია ჯავახიშვილის დასი სულ უცხო ძალებით, რათა ხალხი უფრო ბლომად მიეზიდა.

მაგრამ, მათდა საუბედუროდ, ბედმა უმტყუნათ და საზოგადოება სასტიკი პროტესტით შეხვდა, წინა დღით მოწოდებებიც კი გამოუშვეს, სადაც მოუწოდებდენ ხალხს, რომ „ნუ მისცემენ ნებას ამ ხალხს, ჩვენი წმინდა ხელოვნების ტაძარში გადაშალონ საზოგადოების თვალ-წინ ეს გახრწნილი ხელოვნების სიმბოლო „არშინ-მალალანი“. საზოგადოებამ ყურად იღო ეს სამართლიანი გამოძახილი და სრული თანაგრძნობა გამოუცხადა.

და თუ დღემდე „არშინ-მალალან“-ის ჯგუფი დიდ იმედებს ამყარებდა, ამ უკანასკნელად, მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა აიძულა იგინი მოსვლისთანავე გაპარულიყვნენ, და დარწმუნებული ვართ დღეის ამას იქით, ჩვენ აღარ ვიხილავთ ზესტაფონის სცენაზე ამ ოპერეტკას.

აი ასეთი ბედი ეწვია „არშინ-მალალანს“ ქ. ზესტაფონში და ვიმედოვნებთ რომ არც სხვა ქალაქები და პროვინციები ჩამორჩებიან ქუთაისს და ზესტაფონს და ყველგან ასეთი პროტესტით გაუმასპინძლდებიან.

ამით კი ერთხელ და სამუდამოდ აგრძნობინებენ ამ ხალხს, თუ რა სისაძაგლეს ჩადიან, მხოლოდ ფულის სიყვარულით.

აკაკი ცქიტიშვილი.

# შემცდარი დიაგნოზი

მშვენიერი დღე იყო. . ბ. №-ი, დაღვრემილი, ჩქარი ნაბიჯით მიეჩქარებოდა ქალაქის მთავარ ქუჩაზე… ის უცბად შეჩერდა ვებერთელა სახლის წინ, დარეკა ზარი, ნელა ავიდა სახლის მეორე სართულში და იქ მცხოვრებ ექიმს შემდეგი სიტყვებით მიჰმართა: ბ. ექიმო, გთხოვთ კარგად გამსინჯოთ და გადაჭრით მითხრათ: „ჭლექიანი“ ვარ თუ არა. მე იმდენი ძალა შემწევს, რომ თავისუფლად შემიძლია მოვისმინო თქვენგან ყოველი სიმართლეს შესახებ ჩემი ჯანმრთელობისა. ამიტომ გთხოვთ სიმართლე მითხრათ და არაფერი დამიმალოთ. სიმართლის თქმა დაუმალავად და შესახებ ჩემი ჯანმრთელობისა ისეთივე მოვალეობას შეადგენს, ბ. ექიმო, როგორც ჩემს აუცილებელ უფლებას შეადგენს ვიცოდე რა მდგომარეობაშია ჩემი ჯანმრთელობა. ამიტომ განმეორებით გთხოვთ, პატიოსანი სიტყვა მომეცით არ მიღალატებთ და სიმართლეს მეტყვით.

ამ სიტყვების შემდეგ ექიმი იქვე ბუხრის ახლო მდგომ სკამს ჩამოეყრდნო და რამდენიმე წუთის სიჩუმის შემდეგ მიმართა №-ს: „გაიხადეთ ტანისამოსი, გაძლევთ პატიოსან სიტყვას არაფერს დაგიმალავთ.“

სანამ №-ი ტანისამოსს გაიხდიდა, ექიმი ეკითხებოდა:

სუსტად ჰგრძნობთ თავს… ღამ-ღამეობით ოფლიანდებით… წინეთ იცოდით ოფლი… გახველებთ… დილას, გაღვიძებისა, სული გეხუთებათ… ცოცხალი გყავთ მშობლები… რისგან გარდაიცვალნენ… და სხვა…?

ყველა ამ კითხვებზედ ავათმყოფი დაწვრილებით პასუხს აძლევდა ექიმს და როდესაც ტანისამოსი გაიხადა, წამოიძახა: „მე მზადა ვარ ბ. ექიმო“…

ექიმი შეუდგა ავადმყოფობის ყოველნაირად გასინჯვას… ეს უკანასკნელი, ხელებ ჩამოშვებული და ნიკაპ ზევით აწეული, გულმოდგინედ უკვირდებოდა ექიმის მოქმედებას, რომლის თითების ცემა მის გვერდებზე ყრუდ ისმოდა, ამას მოჰყვა აგრეთვე ხანგრძლივი და დაკვირვებული სულითქმა შემდეგ ექიმმა მხარზედ მსუბუქად ხელი ჩამოჰკრა №-ს და ღიმილით უთხრა: ჩაიცვით—შეგიძლიათ დამშვიდდეთ… თუმცა „ნერვები“ ძლიერ დასუსტებული გაქვთ, მაგრამ თამამად კი შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ „ჭლექით“ სულაც არა ხართ ავად. ამ სიტყვებზე №-მა აღელვებული კილოთი „ნუ თუ“ წამოიძახა და ტანისამოსის ჩაცმას შეუდგა, ექიმი კი მიუჯდა მაგიდას და რეცეპტს წერა დაუწყო.

როდესაც №-მა ტანისამოსი ჩაიცვა, ექიმისაკენ მიბრუნდა, ხელი დაუჭირა და უთხრა: მე რეცეპტი არ მინდა მე მსურს ერთ რამეზე მოგელაპარაკოთ და გთხოვთ მომისმინოთ.

ამ სიტყვებს რო ამბობდა კიბიდან „მანეთიანი“ ამოიღო და მაგიდაზე დადვა; იქვე მდგომ სკამზე ჩამოჯდა და მთრთოლარე ხმით ლაპარაკი დაიწყო.

სრული წელიწადია ბ. ექიმო, მას შემდეგ, რაც ერთმა ავათმყოფმა მოგმართათ თქვენ და როგორც ეხლა მე, ისე გთხოვათ სიმართლე გეთქვათ მისთვის მის ჯანმრთელობაზე. თქვენ გასინჯეთ იგი, თუმცა ძრიელ გადაკვრით, და უთხარით, რომ იგი „ჭლექიანია“, არ უნდა შეირთოს ცოლი და არც უნდა იყოლოს შვილები, ამ სიტყვებზე ექიმმა რაღაცას თქმა დაუპირა, მაგრამ №-მა სიტყვა გააწყვეტინა და უთხრა: თქვენ დამეთანხმეთ, რადგანაც მე ვამბობ იმას, რაც მე კარგად ვიცი.

არ მახსოვს, წაიბუტბუტა ექიმმა, იმდენ ავადმყოფებს ვილებ, ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ მაინც ვერ გამიგია, რა გნებავთ. ამითი….. მე, მე მინდა გითხრათ ის, ბ. ექიმო, განაგრძო №-მა, რომ ის ავადმყოფი, ვიყავი მე. მე მოგატყუეთ თქვენ, როდესაც გითხარით ცოლ-შვილი არა მყავს მეთქი: ცოლი მყავდა და შვილებიც. როდესაც მე თქვენ მოგშორდით მაშინ და კარები გამოვიხურეთ, რასაკვირველია, თქვენ ჩემზედ აღარ ფიქრობდით, მაგრამ მე კი იმ დღიდან ერთ იმ უბედურთაგან ვსთვლიდი ჩემს თავს, რომელნიც ყოველ წლობით ათასობით ესალმებიან წუთი სოფელს. თქვენმა დიაგნოზმა უუსაშინელესი შედეგი იქონია ჩემზე……

მოგშორდით თუ არა პირდაპირ სახლში მოვბრუნდი, სადაც ჩემი საყვარელი ცოლი და ორი პატარა გოგონა დამხვდნენ. გარედ ცივი ზამთარი იდგა, მაგრამ ჩემს სახლში ძლიერ თბილოდა. ბუხარში მოკაშკაშე ალი ნელ სითბოს ჰფენდა ჩემს ლამაზ ოთახს. მე ძლიერ მიყვარდა სახლში დაბრუნების საათი, საათი ჩემი სულიერად და ხორციელი დასვენებისა ჩემს ძვირფას არსებათა ახლოს, რომელნიც მივბრუნდებოდი თუ არა სწრაფლ შემომეხვევოდნენ; ძლიერ მიყვარდა ჩემი ძვირფასი ცოლის ალერსი და ხვევნა ჩემი შვილებისა და ყოველ დღე მოუსვენრად შევნატროდი სახლში დაბრუნების წუთს, რომელიც ყოველგვარ დარდსა და დაღლილობას სავსებით დამავიწყებდა ხოლმე.

იმ დღეს შევედი თუ არა სახლში, პირი შევაქციე ჩემს საყვარელს ცოლს რომელიც ჩემსკენ გამოექანა და საკოცნელად ტუჩები გამოწია. ხელის კვრით მოვიშორე ჩემგან ჩემი პატარა შვილები, რომელთაც როგორც კი დამინახეს, მომვარდნენ და უნდოდათ კისერზე მომხვევოდნენ.

— დიახ, ექიმო, თქვენმა სიტყვებმა თქვენმა დიაგნოზმა, ნაყოფი მოიტანეს…

მიუჯექით მაგიდას, ვახშმობის დროს იმ აზრით ვიყავი მოცული, როგორმე დამეფარა და ჩემს ცოლსა და შვილს არ შეემჩნია ჩემში გონების დაბნევა და მღელვარება, მაგრამ მწარე ფიქრები საყვარელ არსებათა, შესახებ, რომელიც მალე უნდა მიმეტოვებინა.

— მაინც ვერ მომეშორებინა თავიდან. გულს მიღრღნიდა ჩემს ღარიბ ოჯახზე ფიქრი და ჩემი უძვირფასესი შვილების აღზრდის საშინელი სურათი… ჩემი სულიერი ტანჯვა აუწერელი იყო.., მე სიკვდილი მქონდა ჩემში… კიდევ ცოცხალი ვიყავი და უფლება არა მქონდა ცოცხალთა რიცხვში მეგრძნო ჩემი თავი…

დარეკა დაძინების საათმა, ჩემი პატარები ჩვეულებისამებრ ცქრიალით მომვარდნენ, დააპირეს დაძინების წინ ეკოცნათ ჩემთვის და წასულიყვნენ თავის ოთახში დასაძინებლად, მაგრამ მე ხელი ვკარ მათ და ჩემს სიახლოვეს არ მოუშვი ისინი—ჩემი საშინელი, სიკვდილის მატარებელი ტუჩები, არ უნდა მიჰკარებოდა მათ… მეც წავედი დასაძინებლად. თანდათან სიჩუმე ჩამოვარდა, როგორც სახლში, ისე ქუჩაში. დავაქრე ლამპარი და მწოლარე ყურს ვუგდებდი ჩემი ცოლის მშვიდობიან სულთქმას..

დაუსრულებლად მიიზლაზნებოდა დრო, ძილი კი ჩემ თვალს არ ეკარებოდა, რაც დრო მიდიოდა, უფრო და უფრო ვეხვეოდი ფიქრთა ბურუსში. ხელი გულზე დავიდევ და შევეცადე, გამომერკვია ჩემი ფილტვების მდგომარეობა. მართალი გითხრათ, ექიმო, სრულებით არ ვგრძნობდი ჩემს თავს ავად, რის გამო დიდი ეჭვი შემეპარა თქვენი დიაგნოზის სისწორეში. ბოლოს და ბოლოს სავსებით დავარწმუნე ჩემი თავი იმაში, რომ, თქვენი დიაგნოზი შემცდარი იყო და არავითარი „ჭლექით“ არ ვიყავი ავად, მაგრამ ამ დროს უცბად მომესმა მეზობელ ოთახიდან, სადაც ჩემს პაწიებს ეძინათ, ხმელი, გაგრძელებული ხველება, რის გაგონებამ სხეული ამიკანკალა. შეშინებულმა ჩემი ცოლის გაღვიძება დავაპირე, მაგრამ შევჩერდი და ისევ განვმეორდა. ეხლა კი ვეღარ მოვითმინე და ფრთხილად შევედი ჩემი პაწიების ოთახში. ისინი თეთრ ლოგინებში მწოლარენი, სალამურ ლამპარის მკრთალ სინათლეზე, ანგელოზებსა ჰგავდნენ. მივუახლოვდი მათ და ორივეს ცქერა დავუწყე მშვიდსა და უმანკო სახეზე. უფროს გოგონას სახე წამოჰწითლებოდა, ხელი ცხელი ჰქონდა, დრო გამოშვებით ახველებდა და წამ და უწუმ ლოგინში ტრიალებდა. მე დიდხანს დავსცქეროდი მათ… ბოლოს ისევ ჩემ ოთახში დავბრუნდი და დავწექი თუ არა, საშინელი აზრი ჩამესახა თავში: „ჩემი პირმშო გოგონაც ჭლექიანია“. ამ აზრმა ისე შემიპყრო, რომ მასში ეჭვი აღარ მეპარებოდა და შეუცვლელ რწმენად გადამექცა იგი… სთქვა თუ არა ეს სიტყვები, №-მა მოკუმშა მუშტი, რამოდენიმედ წინ წამოიწია და განაგრძო:

ჰო, ექიმო, თქვენ ამ დროს არ ფიქრობდით, თუ რა ჩაიდინეთ და რა ნაყოფი მოჰქონდა თქვენს დიაგნოზს.

მე ვერ გავბედე პატარა გოგონას ავადმყოფობა ჩემი ცოლისთვის გამებედა. იმდენი ძალაც კი არ შემრჩენოდა, რომ ექიმი მომეწვია.—მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული იმაში, რომ სხვა ექიმიც იმას მეტყოდა, რასაც მე ვფიქრობდი და ამის შიშით ვერაფერს ზომებს ვერა ვიღებდი. მიუხედავად იმისა, ჩემი გონება მაინც განაგრძობდა მუშაობას… წინ მიდგებოდა არა ის კითხვა, რომ ჩემს პაწიებს ჩემგან გადაედვათ „ჭლექი“, არამედ ის, რომ მე შემეძლო მემკვიდრეობით გადამეცა მათთვის „ჭლექი“ ეგრეთვე, როგორც მე გადავეცი მათ ჩემი შავი თმა და სიცოცხლით სავსე თვალები, და თუ ისინი ამ ბუნების საშინელ კანონს როგორმე ასცდნენ, საჭმარისი იყო მხოლოდ ჩემი მათთან ყოფნა, რომ ჩემი საყვარელი შვილები „ჭლექით“ დამეჯილდოვებინა. ამ აზრმა შემიპყრო და მოსვენებას არ მაძლევდა ყველა ის, რაც კი რამ წამეკითხავს თქვენი კოლლეგების მიერ დაწერილი შესახებ ამ საშინელი ავადმყოფობისა თვალ წინ მიდგებოდა… ჩემი სიცოცხლისადმი მოტრფიალე ყმაწვილი ცოლი, ახალ გაფურჩქვნილი ვარდის მზგავსი ჩემი პატარა გოგონები ამ საშინელი სენისაგან უნდა ამოწყვეტილიყვნენ და ყველა ამის მოწამე უნდა ვყოფილიყავი მე.

ამ სიტყვებზე №-მა თითი მაღლა ასწია და შემდეგ ისევ მაღალა ხმით განაგრძო ლაპარაკი.—ჰო, ეს აზრი მიღრღნიდა გულს, ბ. ექიმო, და ვერა გზით ვერ დამევიწყებინა. მე ვფიქრობდი, ეს ისეთი შემთხვევა არის, როდესაც ყოველ მამაკაცის ზნეობრივ მოვალეობას უნდა შეადგენდეს ბოლო მოუღოს ისეთ ტანჯვას, რომელიც დაუსრულებელია, მოსპოს იგი, რაც მისგან შექმნილი და საყვარელი არსებანი გაანთავისუფლოს იმ ტანჯვისაგან, რომელიც მათ მოელის ამ საშინელი სენისაგან. ამ სიტყვების გაგონებაზე ექიმმა მთელი სხეულით კანკალი დაიწყო და ზეზე წამოდგა.

დაბრძანდით, ბ. ექიმო, მრისხანე ხმით და თვალებიდან ცეცხლის ფრქვევით წამოიძახა №-მა. თქვენ ჰძრწით, კანკალებთ, შიშის ზარი გიპყრობთ, რადგან ხვდებით რაშიაც არის საქმე…

დიახ, მე ჩემი საკუთარი ხელით მოვკალი ჩემი საყვარელი უმანკო შვილები, ჩემი ანგელოზის მზგავსი გოგონები, და ჩემი ძვირფასი ყმაწვილი ცოლი. გაიგონეთ, ექიმო, მე მოვკალი ისინი, მე ისინი ისე მოხერხებულად მოვწამლე, რომ არავის ეჭვი არ დაჰბადებია ჩემს ასეთ საქციელში. მინდოდა მათთან ერთად მეც თავი მომეკლა, მაგრამ გადავსწყვიტე ასეთი შეღავათი არ მიმეცა ჩემი თავისთვის, რომ მე მოვსპე სიცოცხლე ჩემს საყვარელ არსებათ არამედ იმისთვის, რომ მე მათ სიცოცხლე მივეცი. ან კი შემეძლო იმაზე სასჯელი მიმეყენებინა ჩემი თავისათვის, როგორიცაა განმარტოებული და სასოწარკვეთილებით შეპყრობილი არსებობა? ამაზედ უფრო სასტიკი სასჯელი შეუძლებელია და მეც თავის მოკვლაზე მაღლა ეს სასჯელი დავაყენე და კიდევაც მივქართე მას…

მაგრამ დახეთ სასწაულს, რამოდენიმა კვირის შემდეგ ჩემი ცოლისა და შვილების სიკვდილისა მე სრულებით კარგად შევიქენი და არავითარ ტკივილებს აღარ ვგრძნობდი არც გვერდში და არც სხვაგან: სისხლს აღარ ვახველებდა, ჭამის მადა მომივიდა და ისევ კარგად შევიქენი, რომ ყველა განცვიფრებაში მოდიოდა.

მე მაინც იმ აზრისა ვიყავი, რომ მე „ჭლექიანი“ ვარ და ეხლა თუ კარგად ვგრძნობ თავს, ეს მხოლოდ დროებით მოჯეთებაა და ბოლოს და ბოლოს ულმობელი სენი მაინც თავისას იზამდა. მაგრამ ჩემი აზრი არ გამართლდა რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო კარგად ვხდებოდი. რამდენიმე თვის შემდეგ ისევ კარგად შევიქენი, რომ ჩემი სხეულის სრულ ჯანმრთელობა ყოველ ეჭვს გარეშე იყო… ვიყავი კი ოდესმე „ჭლექიანი“?… აი კითხვები, რომლებმაც ეხლა შემიპყრეს და ყოველ წუთს გადაწყვეტას თხოულობდენ…

მე თუ „ჭლექიანი“ ვიყავი, ჩემი საქციელი სამართლიან აუცილებლობას შეადგენდა თუ არა, მაშინ კი იგი უნდა ჩაითვალოს ლაჩრულ მკვლელობათ, რომლის გამართლება არას გზით არ შეიძლება…

მთელი წელიწადი კიდევ ვიცადე, განგებ თავს არ ვუფრთხილდებოდი. მინდოდა თუ მე „ჭლექიანი“ ვიყავი და დროებით ეს სენი არაფრით იჩენდა თავს, როგორმე გამომეწვია იგი. მაგრამ ამაოდ…

ამის შემდეგ მე ღრმად დავრწმუნდი იმაში, რომ თქვენ შესცდით ბ. ექიმო, და თქვენი შეცდომის მსხვერპლი გახდნენ ჩემი საყვარელი ცოლი და პაწია გოგონები.

უსაზღვრო ტანჯვამ შემიპყრო… თვალებზე ცრემლები არ მაშრებოდა და სულ ის აზრი მქენჯნიდა, რომ უმანკო არსებანი მოვკალი მე და ჩემი თავიც საუკუნოდ უბედური ვყავ. ვინ იყო მიზეზი ამდენი ადამიანის დაღუპვისა,—თქვენ ბ. ექიმო, თქვენ, შესცდით, დიახ შესცდით, ექიმო, აი ნაყოფი თქვენი დაუკვირებლობისა…

მე მინდოდა თქვენგანვე გამეგონა ეს აზრი და კიდევაც გავიგონე რამოდენიმე წუთის წინეთ, როდესაც ბეჭებზედ ხელი ჩამომკარით და მითხარით: არავითარით ჭლექით არა ხართ ავათო, თქვენ რომ დაკვირვებოდით ჩემს თვალებს და სახის გამომეტყველებას, უსათუოდ მიხვდებოდით, რისთვისაც მოვედი მე თქვენთან და რა მინდოდა მეთქვა…

გაფითრებული ექიმი ზეზე წამოდგა და აკანკალებული ხმით ბუტბუტი დაიწყო:

ღმერთო ჩემო, მე შეუცდომელი არა ვარ, ჩვენს დროში აზრი შესახებ ტუბერკულიოზის—დაჯდება. მე შემეძლო შევმცდარიყავი. მე კი არა დიდებული ავტორიტეტები შემცდარან დიაგნოზის დასმაში და რა არის გასაკვირველი, რომ მე შეცდომა ჩამედინა. შეიძლება პირველი ჩემი დიაგნოზი თქვენი ჯანმრთელობის შესახებ მართალი იყო და დღეს კი როგორმე შევცდი, ამიტომ გთხოვთ ნება მომეცით ხელახლად გაგსინჯოთ კიდევ და გადაწყვეტით გითხრათ ყველაფერი…

გაიგონა თუ არა ეს სიტყვები №-მა, საშინელი ზარ-დამცემი ხმით გადაიხარხარა და ბრაზმორეულმა მიმართა ექიმს.

— რომელი სულელი გგონივართ მე თქვენ, ბ. ექიმო….. თქვენ ჰფიქრობთ ამ გვარი ხრიკებით შესძლებთ იმ ხლართიდან გამოსვლას, რომელიც თქვენივე ხელით ჩამოიცვით დღეს ყელზე! ეს ეხლა შეუძლებელია თქვენთვის…. ეხლა ვეღარ მომატყუებთ, მე ეხლა ღრმად ვარ დარწმუნებული, რო „ჭლექიანი“ არა ვარ. ამ შემთხვევაში მე სავსებით ვერწმუნები თქვენს დღევანდელ დიაგნოზს. ……მაგრა თქვენი შეცდომით, მე გავხდი დამნაშავე, თქვენ კი თანაზიარი. თქვენ ხართ შემქნელი აზრის—მე კი მისი განმახორციელებელი და რადგან ამ შემთხვევაში მხოლოდ მე, მე „ნერვებით ავადმყოფი“,—როგორც თქვენ მითხარით დღეს გასინჯვის დროს,—შემიძლია ვიყო თქვენი ერთად-ერთი მიუდგომელი მართლ-მსაჯული, ამიტომ წარმოვსთქვამ განაჩენს და კიდევაც მომყავს იგი სისრულეში… გაისმა ორჯელ რევოლვერის ხმა. ხმის გაგონებაზე მოსამსახურეები ოთახში შეცვივდნენ და თვალ წინ გულშემზარავი სურათი გადაეშალათ: იატაკზე ექიმი და №-რი, ცხელი ტყვიით განგმირულნი, გათხლართულიყვნენ და საუკუნოდ დაეხუჭათ თვალები…

დანთხეულ ტვინის ნაწილებს და სისხლის წვეთებს რეცეპტი დაესვარათ, რომელზედაც შემდეგი იყო წაწერილი:

ბრომი 15,0.

გამოხდილი წყალი…

ქ. ფარეიშვილი.

# თბილისში მყოფ უცხო სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენელთა მისამართები

1) ინგლისის მთავარი შტაბი. -რეტიშჩევის ქ. № 7.

2) ფრანგულ მისიის უფროსი პოლკ. მარდინი პეტრე დიდის ქ. № 3

3) შვეიცარიული საელჩო ბებუთოვის ქ. 15.

4) ფრანგული მისიისა—პანასევიჩის ქუჩ. 3.

5) პოლონეთის სამეფო წარმომადგენელი მადათოვის ქ. 1.

6) ლიტვის წარმომადგენელი კირშეს ქ. 45.

7) აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი, კანცელარია—დავითის ქ. 5

8) უკრაინული მისსია,—ვერის დაღმართი 3

9) უკრაინის მთავარი ელჩი ლესნიაკი ვერის თავდაღ. 3

10) სპარსეთის მთავარი ელჩი—გუდოვიჩის ქ. 7

11) ესპანური ელჩის ნაცვალი ამაღლების ქ. 9

12) შვეიცარიელი საგანგებო დელეგაცია დიდუბე „ფლერას“ ვილლა.

13) საბერძნეთის სამეფო ელჩი—სასტუმრო „ბელვიუ“

14) სომხეთის წარმომადგენელი—გოლოვინის პრ. 8

15) ჩეხ-სლოვაკთა ეროვნულ საზო—ბის წარმომადგენელი—ქალთა, პირველი გიმნაზია

16) იტალიის წარმომადგენელი სასტუმრო „ორიანტი“.

17) ამერიკული სამხედრო მისსია სერგიევის ქ. 16

18) ბელგიის ელჩი—ელისაბ დის ქუჩ. № 183.

# მიმოსვლა
## სახალხო მატარებლებისა ს. ს. რკ. გზ

**გადის თბილისიდან.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 ს. | 5 წ. |
| ქუთაისში | № 10 9 | საღ. | 8 ს. | 7 წ. |
| ბათომში | № 5 | საღ. | 5 ს. | 4 წ. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 ს. | 56 წ. |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 ს. | 30 წ. |

**მოდის თბილისში**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 ს. | — |
| ფოთიდან | № 4 | საღ. | 8 ს. | 45 წ. |
| ბათუმიდან | № 6 | შუად. | 12 ს. | 10 წ. |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 ს. | 30 წ. |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 ს. | 06 წ. |

**თბილისი-სალოღლი**

**გადის სალოღლში**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 8 | საღამოს | 6 ს. | 5 წ. |
| № 6 | შუადღის | 2 ს. | 32 წ. |
| № 4 | საღამოს | 9 ს. | 50 წ. |

**მოდის სალოღლიდან.**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | დილის | 7 ს. | 27 წ. |
| № 5 | ნაშუად. | 3 ს. | 5 წ. |
| № 7 | დილის | 11 ს. | 52 წ. |

**თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.**

**გ ა დ ი ს**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 63 | შუადღის | 2 ს. | 40 წ. |
| № 61 | დილის | 7 ს. | 52 წ. |
| № 19,20 | შუად. | 3 ს. | 26 წ. |

**მ ო დ ი ს:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 19,20 | დილ. | 6 ს. | 30 წ. |
| № 62 | დილ. | 11 ს. | 24 წ. |
| № 64 | საღ. | 8 ს. | 4 წ. |

**თბილისი-სანაინი**

**გ ა დ ი ს:**

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

**მ ო დ ი ს:**

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

**შენიშვნა 1.** მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონელის.

**შენიშვნა 2.** მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

საექიმო კაბინეთი

ექ. პ. ტყეშელაშვილისა

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესე და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

პ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X სხივებით დიდი სალენიიდი და სხვალის ჭრით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის [illegible] დავითის ძის [illegible]

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს [illegible] საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.